

მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2022 წლის სამოქმედო გეგმა

(პროგრამული კოდი 0503)

N	ღონისძიება	თანხა
1	<p>პირველკურსელთა თანადაფინანსება (მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ყველა პირველკურსელი ფინანსდება ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით)</p>	120 000 ლ.
2	<p>არქეოლოგიური ექსპედიცია (სვანეთის მასშტაბით ხორციელდება სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციები, რის შედეგადაც ვლინდება მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები, რომელსაც ახორციელებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, არქეოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიცია პროფესორ ზვიად კვიციანის ხელმძღვანელობით)</p>	20 000 ლ.
3	<p>ეტალონი (საქართველოს მასშტაბით ყველაზე პოპულარული, ინოვაციური საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტი „ეტალონი“ მე-8 წელია უწყვეტად განაგრძობს მთელი საქართველოს მასშტაბით ნიჭიერი მამულიშვილი ახალგაზრდების აღმოჩენას და წახალისებას)</p>	3 000 ლ.
4	<p>„ეტალონი განათლება“ (პროექტი „პირველკლასელთა აკადემია“ გათვლილია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის, რომელიც მოიცავს აქტივობებს ბავშვის შემეცნების და აზროვნების განვითარებას.</p>	4 800 ლ.
5	<p>„ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დაფინანსება“ (სხვადასხვა აქტივობების მხარდაჭერა)</p>	6 000 ლ.

6	<p>სასკოლო სპორტული ოლიმპიადა (საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია ახორციელებს პროგრამას „საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“-ს. აღნიშნულ პროგრამაში ჩართულია საქართველოს მასშტაბით მრავალი მუნიციპალიტეტი. მუნიციპალურ დონეზე თამაშების ორგანიზება და ფინანსური მხარდაჭერა ხდება მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ. ოლიმპიადის თამაში შედგება 4 ეტაპისაგან: მუნიციპალური, რეგიონული, ზონალური და დასკვნითი თამაშები. აღნიშნულ აქტივობებში ყოველწლიურად იზრდება ბენეფიციართა რაოდენობა)</p>	5 000 ლ.
7	<p>ტრანსპორტირება: ახალგაზრდულ ბანაკებში ახალგაზრდების ტრანსპორტირება</p>	10 500 ლ.
8	<p>ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა (რომელიც მოიცავს ახალგაზრდების გაცვლითი პროგრამების დაფინანსებას და სხვა..)</p>	51 000 ლ.
9	<p>სასკოლო საგანმანათლებლო პროექტების თანადაფინანსება (მოსწავლეთა სრულფასოვანი განათლებისთვის მნიშვნელოვანია ფორმალური განათლების შესაძლებლობების გაფართოება. სკოლების ჩართვა სხვადასხვა დამატებით აქტივობებში უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს, ასევე აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას)</p>	3 000 ლ.
10	<p>ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები</p>	10 000 ლ.

სულ - 233 300 ლარი.